

*N.B. რეკომენდაციის საჯაროდ გამოქვეყნებულ ტექსტში სრულად არის დამტრიხული განმცხადებელთა კონკრეტული საქმეები, მათი ინტერესებიდან გამომდინარე.*

ზ. დ.-ს

## **რეკომენდაცია**

### **სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე**

*შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს  
კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო ზ.,

საქართველოს სახალხო დამცველის წარმოებაშია სამი სხვადასხვა განცხადება, რომლითაც განმცხადებლები - ს. ც., თ. მ. და ბ. ჯ. მიუთითებენ ზ. დ.-ს მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების ფაქტებზე.

ს. ც.-ს და თ. მ.-ს ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენს ააიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“, ხოლო ბ. ჯ.-ს ინტერესები ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (საიას) მეშვეობით არის წარმოდგენილი.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა წერილობით გამოითხოვეს ინფორმაცია მხარეებისაგან და მესამე პირებისგან, ასევე პირადად გაესაუბრნენ სამივე განმცხადებელს, მოპასუხე მხარეს, მესამე პირებს და წერილობით გამოითხოვეს ინფორმაცია.

#### **I. ფაქტობრივი გარემოებები**

##### **1.1. ს. ც.-ს საქმე N5862/18**

2018 წლის 13 აპრილს სახალხო დამცველს მომართა ს. ც.-მ.

*\*განმცხადებლის ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებები საჯარო ტექსტიდან წაშლილია.*

## **1.2. თ. მ.-ს საქმე N6408/18**

2018 წლის 24 აპრილს სახალხო დამცველს მომართა თ. მ.-მ.

*\*განმცხადებლის ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებები საჯარო ტექსტიდან წაშლილია.*

## **1.3. ბ. ჯ.-ს საქმე N5923/18**

2018 წლის 16 აპრილს სახალხო დამცველს მომართა ბ. ჯ.-მ.

*\*განმცხადებლის ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებები საჯარო ტექსტიდან წაშლილია.*

## **ზ. დ.-ს პოზიცია**

მოპასუხე მხარის განმარტებით, განცხადებებში ხელოვნურად არის დამახინჯებული რეალობა, რათა ისტორიებს სექსუალური შევიწროების კვალიფიკაცია მიეცეს და მის მიმართ წარმოებული კამპანიის მიზანი იყო მისი, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის გავლენიანი კაცის წევრობის კანდიდატის რეპუტაციის განადგურება მტკიცებულებების გარეშე. მოპასუხის მითითებით, სავარაუდო მსხვერპლთა წარმომადგენელი ორგანიზაციები სტრატეგიულად მოქმედებენ და იყენებენ რამდენიმე საერთო მიდგომას, კერძოდ:

1. სავარაუდო მსხვერპლთა მეგობრები წარმოდგენილები არიან როგორც მოწმეები; და
2. სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტები აღწერილია ისეთი ტერმინოლოგიით, რომელიც სამართლებრივი ნიუანსების არმცოდნე პირებისთვის არ არის ცნობილი და ქმნის სექსუალური შევიწროების შემადგენლობას.

მოპასუხე მხარე აღნიშნავს, რომ ის არ იყო ისეთი გავლენის მქონე პირი, რომელსაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა ადამიანებისათვის ან შეეღალა მათი უფლებები და მას არ გააჩნია, რაიმე ძალაუფლების მომცემი კავშირები/ბერკეტები პოლიტიკურ თუ ე. წ. ძალოვან სტრუქტურებთან. ამასთან, ვერც მისი ფინანსური მდგომარეობა იქნება რაიმე სახის გავლენის ინდიკატორი, მასსა და სავარაუდო მსხვერპლებს შორის კომუნიკაციის ხანგრძლივობა, შინაარსი, ხასიათი და ინტენსივობა კი ვერ შეფასდება როგორც სექსუალური შევიწროება და კომუნიკაციის ეტაპზე მისთვის ნათქვამი „არა“ ნიშნავს „არას“.

ზ. დ. მის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას უკავშირებს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრად მისი კანდიდატურის წარდგენას. მოპასუხე მიუთითებს, რომ ეს იყო კონკრეტული ინტერესების მქონე ჯგუფის

მიერ ორგანიზებული პროცესი და რომ განმცხადებელთა მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ საჩივრებსა და გამოქვეყნებულ ინტერვიუებში ასახულია ისტორიების სხვადასხვა ვერსიები და არის მნიშვნელოვანი განსხვავებები პრინციპულ გარემოებებთან დაკავშირებით.

## II. სახალხო დამცველის შეფასება

### 2.1. სექსუალური შევიწროების სამართლებრივი შემადგენლობა

სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთე-ერთი ფორმაა და გულისხმობს სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის ვერბალურ, არავერბალურ ან ფიზიკურ ქმედებას, რომლის მიზანია ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტი სექსუალურ შევიწროებას მიიჩნევს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად<sup>1</sup> და აღნიშნავს, რომ თანასწორობას რეალური საფრთხე ექმნება, როდესაც ქალი ექვემდებარება გენდერული ნიშნით ძალადობის ისეთ ფორმას, როგორც არის სექსუალური შევიწროება.<sup>2</sup>

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის („სტამბოლის კონვენცია“) მე-40 მუხლიც სექსუალურ შევიწროებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს. სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შენიშვნა, შეკითხვა, ხუმრობა; ასევე, ნებისმიერი ფიზიკური კონტაქტი, როგორცაა, შეხება, მოფერება, ჩქმეტა ან ფიზიკური თავდასხმა. ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა იყოს ადამიანისათვის არასასურველი, შეურაცხმყოფელი და აკნინებდეს მის ღირსებას.<sup>3</sup>

სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის

---

<sup>1</sup>UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12: Violence against women, 1989, §1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom12>;

<sup>2</sup>UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §17;

<sup>3</sup> Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, § 208, გვ. 35, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/16800d383a>;

განზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, რამდენადაც, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე.<sup>4</sup>

სექსუალური შევიწროების დასადგენად ქცევის არასასურველობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა, ეს არ გულისხმობს ქმედების „იძულებითობას.“ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ქმედების არასასურველობის განჭვრეტადობასაც. მსხვერპლი შესაძლოა ეთანხმებოდეს კონკრეტულ ქცევას და აქტიურადაც მონაწილეობდეს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისთვის ქმედება უსიამოვნო და შეურაცხმყოფელი იყოს.<sup>5</sup> იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლი არ აფიქსირებს, რომ მისთვის ქცევა არასასურველია, ეს არ გამორიცხავს შემავიწროებელი პირის პასუხისმგებლობას, ვინაიდან გონივრულობის ფარგლებში, **შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა (*ought to have known*), რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისათვის.** აღნიშნული მიდგომა აწესებს სექსუალური შევიწროებისათვის სუბიექტურობისა და ობიექტურობის ტესტს, რომელშიც სუბიექტურობის კომპონენტი არის შემავიწროებლის დამოკიდებულება მისი ქცევის მიმდებლობასთან დაკავშირებით, ხოლო ობიექტურობის კომპონენტი კი ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ იქნებოდა კონკრეტული ქცევა მიღებული, გონივრულობის ფარგლებში, მესამე პირის მიერ.<sup>6</sup>

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემული საქმეების განხილვისას გამოყენებული უნდა იქნეს **ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (*reasonable woman standard*)**, რომელიც მხედველობაში იღებს სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ აღქმებს. აღნიშნული სტანდარტი, სექსუალური შევიწროების ფაქტს განიხილავს ქალის პერსპექტივიდან და წარმოადგენს გენდერულად სენსიტიურ მიდგომას.<sup>7</sup> სექსუალური შევიწროების ფაქტის ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (*reasonable women standard*) გამორიცხავს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტი უნივერსალურად მიღებული წესით განისაზღვროს და შეფასდეს ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქმედება.

სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ მსჯელობისას საჭიროა ასევე იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება,, რომელშიც ხდება ქცევა და სწორედ ამ სოციალური კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა სექსუალური ქცევის აღქმა

---

<sup>4</sup> Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment, 7. Burden of Proof, Evidentiary Issues*, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#\\_ftn154](http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftn154);

<sup>5</sup> UN, *What is Sexual Harassment?*, გვ. 1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatiss.pdf>;

<sup>6</sup> Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment, 2.1. Defining Sexual Harassment*, ხელმისაწვდომი ვებ-გვერდზე: [http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/2-identifying-sexual-harassment#\\_ftn11](http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/2-identifying-sexual-harassment#_ftn11);

<sup>7</sup> Bonnie B. Westman, *The Reasonable Woman Standard: Preventing Sexual Harassment in the Workplace*, William Mitchell Law Review, Vol. 18, გვ. 808, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://open.mitchellhamline.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2295&context=wmlr>;

მსხვერპლის მიერ.<sup>8</sup> ზოგადი მიდგომის გამოყენებამ, ისეთ შემთხვევებში, სადაც სოციალურად განსაზღვრული გენდერული ნორმები არსებობს, შესაძლოა დისკრიმინაციული შედეგი გამოიწვიოს.<sup>9</sup>

როგორც სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშშია აღნიშნული, სექსუალური შევიწროვება ქალთა მიმართ უფლების დარღვევის ყველაზე გავრცელებულ და ამავდროულად, დაფარულ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც აკნინებს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას.<sup>10</sup> საქართველოში დღემდე არსებობს უარყოფითი გენდერული სტერეოტიპები, რომლის თანახმად, დასაქმების ადგილზე თუ სხვა სიტუაციაში არასასურველი მოპყრობის გამომწვევი არის თავად ქალი, რის გამოც ქალებს აქვთ მოლოდინი, რომ კაცის მხრიდან შევიწროების შემთხვევაში, საზოგადოებამ, ოჯახმა თუ კოლეგებმა ის შესაძლოა საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ პრინციპებთან შეუსაბამო ქცევაში დაადანაშაულონ. აქედან გამომდინარე, ქალის მოწყვლადობის ხარისხი კიდევ უფრო იმატებს და პრობლემა დაფარული რჩება, ვინაიდან შევიწროვების მსხვერპლს ვიქტიმიზაციის შიში აქვს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სექსუალური შევიწროების შემთხვევები, როგორც წესი, გამოირჩევა ფარულობით, შესაბამისად, რთულდება მოწმეების ან/და მატერიალური მტკიცებულებების მოპოვება. ფაქტის დადგენისას პრაქტიკულად შეუძლებელია მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც მსგავს საქმეებში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა მიერ წარმოდგენილ სუბიექტურ მტკიცებულებებს.<sup>11</sup> როდესაც სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით სავარაუდო მსხვერპლის სანდოობის საკითხი განიხილება, შესაძლებელია შეფასდეს სხვადასხვა კონკრეტული ფაქტების მსგავსება, მაგალითად, ქცევის საერთო მახასიათებელი. მსგავსი მტკიცებულება გამოსადეგი და დამხმარე საშუალებაა განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშესახები პირდაპირი მტკიცებულებების მოძიება ვერ ხერხდება.<sup>12</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, წინამდებარე საქმეების ფარგლებში გათვალისწინებული იყოს ქალთა მიმართ ქვეყანაში

---

<sup>8</sup> Supreme Court of the United States, *Josef Oncale, Petitioner v. Sundowner Offshore Services, Incorporater, et al.*, No. 96-568, 1998, II, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.law.cornell.edu/supct/html/96-568.ZO.html>;

<sup>9</sup> Ann C. McGinley, *Reasonable Men?*, Connecticut Law Review, Vol. 45, 2012, გვ. 31, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://scholars.law.unlv.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1768&context=facpub>;

<sup>10</sup> სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ, გვ. 994;

<sup>11</sup> Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment* » 7. *Burden of proof: evidentiary issues*, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0>;

<sup>12</sup> Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment*, 7. *Burden of Proof, Evidentiary Issues*, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#\\_ftn154](http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftn154);

არსებული დისკრიმინაციის წამახალისებელი სოციალური კონტექსტი. შესაბამისად, განსახილველი შემთხვევები სწორედ ქალის მიერ სექსუალური შევიწროების გონივრული აღქმის სტანდარტით (*reasonable women standard*) შეფასდება.

## 2.2. სექსუალური შევიწროება საქმეებში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ფონზე

საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე გადაწყვეტილება შეეხება სამი განმცხადებლის - ს. ც.-ს, თ. მ.-ს და ბ. ჯ.-ს საქმეებს, რომელთა განხილვა სახალხო დამცველმა ერთობლივად გადაწყვიტა. წარმოების ფარგლებში სახალხო დამცველს არ ჰქონდა შესაძლებლობა მოეპოვებინა პირდაპირი მტკიცებულებები, რამდენადაც განმცხადებლებისა და მოპასუხის შეხვედრებს მესამე პირები არ დასწრებიან, აღნიშნულის შესახებ არც ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი არსებობს, შესაბამისად, გადაწყვეტილება დაეყრდნობა არაპირდაპირ მტკიცებულებებს.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ შესწავლის პროცესში სამივე განცხადებასთან მიმართებით გამოიკეთა საერთო მახასიათებლები. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ ზ. დ. სხვადასხვა ფრაზებს იყენებდა და მათ მიმართ სექსუალურ ინტერესს გამოხატავდა გარკვეული - მაგალითად, კანის ფერის, სუნის ხაზგასმა, შიშველ ფეხზე, ტერფებზე თუ სხეულის სხვა ნაწილზე შეხება, გარეგნობაზე მითითება.

მოპასუხე მხარის მითითებით, სახალხო დამცველის აპარატში წარდგენილი განცხადებების ხელწერა ერთმანეთს ჰგავს, არის ხელოვნურად შექმნილი, იმისათვის, რომ ფაქტებს სექსუალური შევიწროების ელფერი მიეცეს, რას მის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის არსებობას ადასტურებს.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ზ. დ.-ს წინააღმდეგ განცხადებები სახალხო დამცველის აპარატში შემოტანილ იქნა იმის შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა ზ. დ.-ს კანდიდატურა წარადგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრობაზე.<sup>13</sup> თუმცა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზ. დ.-ს წინააღმდეგ პროცესებს კამპანიური ხასიათი ჰქონდა, აღნიშნული არ გამოორიცხავს სექსუალური შევიწროების ფაქტების არსებობას და შესაბამისად, მოპასუხე მხარის მიერ ზემოაღნიშნულზე აპელირება ვერ დააყენებს ექვევემ განმცხადებელმა მონათხრობის ნამდვილობას. ამასთან, სახალხო დამცველს არ გასჩენია ვარაუდის საფუძველი, რომ განმცხადებლებმა ზ. დ.-ს სექსუალური ქცევის გამოხატვის ვერბალური ფორმა და კონკრეტული ფრაზები განზრახ არასწორად გადმოსცეს.

---

<sup>13</sup> სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის კანდიდატურა წარუდგინა, 16 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelma-saqartvelos-parlaments-sazogadoebrivi-mauwyebilis-sameurveo-sabchos-wevris-kandidatura-warudgina.page>;

განმცხადებლები არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული პირები და აქვთ განსხვავებული პიროვნული და პროფესიული პროფილი. ამასთან, სამივე მათგანს ჰქონდა ობიექტური მოლოდინი, რომ ზ. დ.-სთან საქმიან ურთიერთობას დაამყარებდნენ.

მოპასუხე მხარის განმარტებით, მას არ ჰქონდა იმგვარი ძალაუფლება, რომ უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინა რომელიმე განმცხადებელზე, თუმცა, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ზ. დ. იყო საჯარო პირი, ერთ-ერთი ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც პერიოდულად ჩნდებოდა მედია საშუალებებში და მისი ორგანიზაციის საქმიანობით დაინტერესებული პირთა წრეში ავტორიტეტულ პიროვნებას წარმოადგენდა. შესაბამისად, აღნიშნული იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ **სწორედ მისი საქმიანობა იყო ძირითადი მოტივი, რის გამოც განმცხადებლები მას უკავშირდებოდნენ ან/და თანხმდებოდნენ შეხვედრაზე.**

მაგალითად, თავად მოპასუხე მხარის მიერ დადასტურებული ინფორმაციით, ბ. ჯ.-ს ოფისში მისვლამდე მისწერა მოკლე ტექსტური შეტყობინება მობილურ ტელეფონზე, რის შედეგადაც ჯ. დაფიქრდა, აღნიშნული მესიჯების შინაარსის გამო მისულიყო თუ არა „სიდას“ ოფისში. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ **ბ. ჯ. ნამდვილად საქმიან შეხვედრას გეგმავდა ზ. დ.-სთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მესიჯების შინაარსზე ყურადღებას არ გაამახვილებდა.** გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გარემოება, რაზეც სახალხო დამცველს სურს, რომ ყურადღება გაამახვილოს, არის ის, რომ თავად მოპასუხე მხარის მიერ დადასტურებული ინფორმაციით, **ბ. ჯ.-მ „სიდას“ ოფისში შეხვედრის შემდეგ მისწერა, რომ სამსახურეობრივი ურთიერთობის გარდა სხვა ურთიერთობა არ სურდა და ამის შემდეგ მოპასუხე მხარეს ჯ.-თან კომუნიკაცია აღარ ჰქონია.** აღნიშნულიც მეტყველებს, რომ ბ. ჯ.-ს „სიდას“ ოფისში ვიზიტი საქმიანი იყო, მისი *post factum* მინაწერი ადასტურებს, რომ „სიდას“ ოფისში ზ. დ.-ს მხრიდან ჯ.-ს მიმართ ქცევას ჰქონდა **სექსუალური ქვეტექსტი, რაც ბ. ჯ.-სთვის მიუღებელი აღმოჩნდა.** ამ ვარაუდს ამყარებს ისიც, რომ თავად მოპასუხე მხარე მიუთითებს, ბ. ჯ.-ს, როგორც ქალის მიმართ სიმპათიაზე.

თ. მ.-ს შემთხვევაშიც იკვეთება, რომ **ზ. დ.-მ მას გააცნო „სიდას“ საქმიანობა, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ მან სწორედ საქმიანობა გამოიყენა მ.-ს დაინტერესებისათვის.** იმ შემთხვევაში, თუკი მათ შორის არაფორმალური შეხვედრა შედგა, სახალხო დამცველისათვის ბუნდოვანია „სიდას“ ოფისში ვიზიტისა და ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობის მიზანშეწონილობა და საეჭვოა, თუ რატომ აღარ ჰქონიათ მხარეებს შეხვედრის შემდეგ კომუნიკაცია.

იგივე შეიძლება ითქვას ს. ც.-ზე, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თავისივე სურვილით გაჰყვა ზ. დ.-ს არაფორმალურ გარემოში, მისთვის შეხვედრის მოტივაცია მომავალში საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების მოლოდინი იყო. იმის გათვალისწინებით, **როდესაც მოპასუხე მხარემ თავისივე ინიციატივით მისწერა ს. ც.-ს, ბუნდოვანია, თუ რატომ აღარ გააგრძელეს მხარეებმა კომუნიკაცია შეხვედრის შემდეგ.**

*როგორც ბ. ჯ.-ს, ასევე თ. მ.-სა და ს. ც.-ს შემთხვევები ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ზ. დ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა არასაქმიანი, სექსუალური ხასიათის ქცევას, რაც განმცხადებლებთან*

*სწორედ შეხვედრის დროს გამოვლინდა, არასასურველი აღმოჩნდა მათთვის, რის გამოც ზ. დ.-თან კონტაქტი გაწყვიტეს.*

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც სახალხო დამცველი დაეყრდნო, წარმოადგენს განმცხადებელთა მეგობრებისათვის ან/და მესამე პირთათვის განმცხადებლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია. სამივე საქმეში სახალხო დამცველი გაესაუბრა განმცხადებლების მეგობრებს/მესამე პირებს, რომლებიც სადავო ფაქტობრივი გარემოებების გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ. **სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმცხადებლების მეგობრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფაქტის პირდაპირი მოწმეები არ არიან.**

ის ფაქტი, რომ განმცხადებლებმა, მათ მეგობრებს/მესამე პირებს მოუყვინნ ზ. დ.-ს მხრიდან მათ მიმართ გამოვლენილი სექსუალური ქცევის, როგორც მათთვის მიუღებელი ქმედების შესახებ, მეტყველებს იმაზე, რომ განმცხადებელთა მიერ ზ. დ. ქმედებები ნამდვილად იყო აღქმული არასასურველად. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ცალკეულ მეგობრებს აღნიშნული ინფორმაცია ჰქონდათ ბევრად ადრე, ვიდრე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატად ზ. დ.-ს წარდგენა მოხდებოდა. აღნიშნულის შესახებ რამდენიმე მიმოწერას სახალხო დამცველის წარმომადგენლები პირადად გაეცნენ: თ. მ.-მ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს ფაქტის შესახებ 2016 წელს აცნობა; ს. ც.-მ მის მეგობარს - გ. დ. - ს ასევე 2016 წელს გაუზიარა ზ. დ.-თან დაკავშირებული ფაქტი; ამასთანავე, „ფონდ ღია საზოგადოების“ სახალხო დამცველისათვის მოწოდებული ინფორმაციაც ცხადყოფს, რომ ზ. დ.-ს მხრიდან სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით მსჯელობა ფონდში 2016 წელს ნამდვილად გაიმართა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებელთა მიერ მოწოდებული ფაქტები არ არის ხელოვნურად შექმნილი.

ერთმნიშვნელოვანია, რომ ზ. დ.-სა და განმცხადებლებს შორის ურთიერთობა სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა მხარეთა მიერ. ზ. დ. მიიჩნევს, რომ განმცხადებლებისთვის მასთან ურთიერთობა არ იყო არასასურველი და ისინი ეთანხმებოდნენ ქცევას, თუმცა განმცხადებელთა მოლოდინები ზ. დ.-თან შეხვედრასთან მიმართებით განსხვავებული იყო და სწორედ ის ქმედებები, რომელიც ზ. დ.-ს მიერ ხორციელდებოდა შეხვედრის დროს, იყო მასთან ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი. განმცხადებელთა აღქმა და დამოკიდებულება ცხადად იკვეთება მეგობრებისთვის გადაცემული ინფორმაციითაც, რომელიც მიუთითებს ზ. დ.-თან შეხვედრასთან მიმართებით განმცხადებელთა უარყოფით რეაქციაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენისთვის არ არის აუცილებელი, რომ არსებობდეს მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ სამივე განმცხადებელი დასთანხმდა ზ. დ.-თან შეხვედრაზე, ვერ იქნება მიჩნეული, რომ მათთვის სასურველი იყო ზ. დ.-ს მხრიდან გამოვლენილი სექსუალური ქცევა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, აღნიშნული ფაქტი განჭვრეტადი უნდა



ყოფილიყო მოპასუხე მხარისათვის და მას უნდა სცოდნოდა, რომ მისი სექსუალური ქცევა - კომენტარი თუ შეხება, შესაძლოა შეურაცხმყოფელი ყოფილიყო განმცხადებელთათვის.

პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის პირობებშიც კი, სამივე განმცხადებელთან ზ. დ.-ს მხრიდან **ქცევისა და გარემოებების საერთო მახასიათებლის** გათვალისწინებით, სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების განხორციელების ვარაუდი, ხოლო მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ წარმოშობილი ვარაუდი გაექარწყლებინა.

შესაბამისად, საქმეში არსებული მასალების, მხარეთა გამოკითხვისა და სხვა არაპირდაპირი მტკიცებულებების, მათ შორის, მესამე პირებისგან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მივიდა დასკვნამდე, რომ **ზ. დ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა პროფესიული და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ს. ც.-ს, თ. მ.-ს და ბ. ჯ.-ს მიმართ არასასურველი, სექსუალური ხასიათის ვერბალურ და ფიზიკურ ქცევას, რომელმაც მათ შეუქმნა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემო.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რეკომენდაციით მიმართავს ზ. დ.-ს, რომ მომავალში, პროფესიულ თუ სხვა სახის ურთიერთობებში, არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და ადამიანის ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო.

პატივისცემით,